ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით შარაშიძეს
მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს პერსონალური მონაცემები.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, მერიის დებულების მე18[1] მუხლში შედის გარკვეული ცვლილებები და ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, მე-18[1] მუხლს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით ამავე მუხლის დებულებები გავრცელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 106[1] მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში და ერთობლივი საქმიანობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტს აგრეთვე უფლება აქვს, გახდეს სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პარტნიორი/აქციონერი/წევრი. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებელი/პარტნიორი/აქციონერი/წევრი ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხოლო ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა დანერგილია მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებშიც, მიზანშეწონილია, აღნიშნული მუხლის ნორმა გავრცელდეს ამავე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც.

მე-18[1] მუხლის პროექტით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების თუ ურთიერთობების მეტად რეგლამენტირება.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით მერიის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის შინაარსი შესაბამისობაში მოდის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ვ“ ქვეპუნქტთან.

ასევე, მერიის რეორგანიზაციასთან და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი.

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია